

არსებულ მონაცემთა ბაზიდან საჭირო ინფორმაციის ამოღება (“SQL”-ის გამოყენებით)

შეიყვანეთ შემდეგი “queries” სისტემაში და შეასრულეთ ისინი:

1. **SELECT ***
FROM DEPT_LOCATIONS AS dl;

2. **SELECT ***
FROM EMPLOYEE As e
WHERE e. SEX= “F”;

3. **SELECT ***
FROM DEPARTMENT AS d, DEPT_LOCATIONS AS dl;

დააკვირდით შედეგს, ფიქრობთ რომ სასურველი შედეგი მიიღეთ? თუ არა, შეეცადეთ შეცვალოთ ის.

4. **SELECT e.FNAME, e. LNAME, e.DNO**
FROM EMPLOYEE As e
WHERE e. DNO= 5;

SQL queries

SQL QUERY1

წარმოადგინეთ ყველა იმ თანამშრომლის სახელი, გვარი, მისამართი, სქესი, ვინც მე-5 დეპარტამენტში მუშაობს.

SQL QUERY2

წარმოადგინეთ ყველა იმ ქალი თანამშრომლის სახელი და გვარი, რომლებიც მე-5 დეპარტამენტში მუშაობენ. შეიანხეთ ეს ვერსია სახელით “Query2a”, შემდეგ განსაზღვრეთ სხვა “query” სახელით “Query2 ”, იგივე პირობით, მაგარმ ცხრილი “Employee”-ს ნაცვლად მიუთითეთ “Query2a”.

SQL QUERY3

წარმოადგინეთ ყველა იმ ქალი თანამშრომლის გვარი, მისმართი და ხელფასი, რომლებიც გამოიმუშავენ 30,000\$-ზე მეტ თანხას და ყველა იმ კაცი თანამშრომლის გვარი, მისმართი და ხელფასი, რომლებიც გამოიმუშავენ 45,000\$-ზე მეტ თანხას, შინახეთ ეს “query” “Query3a”-ის სახელით.

არსებობს ამ “query”-ის განსაზღვრის ალტერნატიული გზა, ორი “SELECT”-ის და “UNION”-ის გამოყენებით, შეინახეთ ეს “query” “Query3b”-ს სახელით.

SQL QUERY4

მოიპოვეთ ყველა თანამშრომლის სახელი , რომლებსაც ყავთ სუპერვაიზერი.

SQL QUERY5

გაიმეორეთ “query1”-ის პირობა, მაგრამ მე-5 დეპარტამენტის ნაცვლად მიუთითეთ დეპარტამენტი :”Research”.

SQL QUERY6

ყველა პროექტისთვის, რომლებიც ჰიუსტონში მდებარეობს წარმოადგინეთ პროექტის ნომერი, მათი მაკონტროლებელი დეპარტამენტის ნომერი, მათი მენეჯერების სოციალური უსაფრთხოების ნომერი.

SQL QUERY7

ყველა პროექტისთვის, რომელიც მდებარეობს სტრაფორდში წარმოადგინეთ მაკონტროლებელი დეპარტამენტის ნომერი, დეპარტამენტის მენეჯერის გვარი, მისამართი და დაბადების თარიღი.

SQL QUERY8

წარმოადგინეთ იმ პროექტების სახელების და ადგილმდებარეობის სია, რომლებიც მდებარეობენ იმავე ქალაქებში, სადაც მათი მაკონტროლებელი დეპარტამენტები. (გამოიყენეთ მხოლოდ ორი ცხრილი, არა სამი)

SQL QUERY9

წარმოადგინეთ იმ თანამშრომლების სახელები, რომლებიც მუშაობენ მე-20 ნომერ პროექტში.

SQL QUERY10

წარმოადგინეთ იმ თანამშრომლების სახელები, რომლებიც არ მუშაობენ მე-20 ნომერ პროექტში.